

კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების
შესყიდვის განცხადება

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე

ქ. ქუთაისი

2012 წელი

სარჩევი

1. საკონკურსო განცხადება	3
2. ტექნიკური დავალება	5
3. ხელშეკრულების პროექტი	13

განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

1. თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის მერია (მის 4600, ქ.ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №3, ს/კ 212721170 ტელ: 24-24-03) აცხადებს კონკურს საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. კონკურსის მიზანია ქალაქ ქუთაისში (ქუჩები, ჩიხები, ბინების წინა ეზოები) გარე განათების სამუშაოების ჩატარებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა (194 ობიექტი).

3. შესყიდვის საგარაუდო ღირებულება შეადგენს 15800 (თხუთმეტიათასრვაასი) ლარს – დღგ-ს ჩათვლით.

4. დაფინანსების წყარო: ქ. ქუთაისის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი

5. კონკურსში მონაწილეობის საფასური

5.1 კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარი. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge).

5.2 საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

- ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
- ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

ამ მუხლის 5.2 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება.

6. კონკურსი ჩატარდება 2012 წლის 30 მაისს 12:00 საათზე.

7. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ.

შენიშვნა: დოკუმენტის ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს.

8. საკონკურსო წინადადება დალუქული პაკეტით წარმოდგენილი უნდა იყოს 2 ეგზემპლარად (დედანი და ასლი) 2012 წლის 30 მაისს 12:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: 4600, ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზირი 3, ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახური (მე-3 სართული, ოთახი 323).

9. საკონკურსო წინადადება ხელმოწერილი უნდა იქნას კონკურსის მონაწილის მიერ, ხელმოწერელი წინადადება არ განიხილება.

10. დავიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება (მათ შორის საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის საფასურის ქვითრის გარეშე), არ განიხილება და გაუხსნელად დაუბრუნდება უკან კონკურსანტს.

11. საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

12. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარებში, საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარულ დღის განმავლობაში.

13. კონკურსანტმა საკონკურსო წინადადებაში უნდა მიუთითოს:

- საკონკურსო წინადადების ფასი (დღგ-ს ჩათვლით), წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ლარებში.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ კონკურსანტი არ არის დღგ-ს გადამხდელი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მისი საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს დღგ-ს გარეშე.

- გასაწევის მომსახურების სრული ტექნიკური აღწერა.
- ინფორმაცია კონკურსანტის მიერ განხორციელებული ანალოგიური მომსახურების შესახებ.
- ინფორმაცია მომსახურების მიწოდების ვადის შესახებ.
- ინფორმაცია ანგარიშსწორების შესახებ.
- რეკვიზიტები.

14. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადება არ განიხილება.

15. საკონკურსო წინადადება რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას 15800 (თხუთმეტიათასრვაასი) ლარს არ განიხილება.

16. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა:

- საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი – 0,5.
- ანალოგიური მომსახურების გამოცდილება: კოეფიციენტი – 0,3.
- მომსახურების მიწოდების ვადა: კოეფიციენტი – 0,2.
- შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით.
- კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათ თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

17. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების დადებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეში საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა.

18. წარმოდგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს ელექტრონული ვერსია. ამასთან კონკურსანტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია PDF ფორმატში, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 მგბ-ს.

19. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

20. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საკონკურსო კომისიაში, საკონტაქტო პირი ნოდარ მიქიაშვილი მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №3, მე-3 სართ. ოთახი №323; ტელ 24-74-73; ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახური.

ტექნიკური დოკუმენტაცია

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს:

ქალაქ ქუთაისში (ქუჩები, ჩიხები, ბინების წინა ეზოები) გარე განათების სამუშაოების ჩატარებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა (194 ობიექტი).

№	ქუჩის დასახელება
1	№17-ე საჯარო სკოლის (ნიკეა) მიმდებარედ
2	№29-ე საჯარო სკოლის (სულხან-საბა) მიმდებარედ
3	№38-ე საჯარო სკოლის (სულხან-საბა) მიმდებარედ
4	№40-ე საჯარო სკოლის (ნიკეა) ფასადების გასწვრივ
5	26 მაისის ქუჩის I ჩიხი
6	26 მაისის ქუჩის III ჩიხი
7	ასლანიკაშვილის ქუჩის II ჩიხი
8	ავტომშენებლის №11, 13, 15, 17 და ავტომშენებლის I შესახვევის №2, 4
9	ავტომშენებლის №14, 16, 18
10	ავტომშენებლის №3, 5, 7, 9
11	ავტომშენებლის №6, 8, 10
12	ავტომშენებლის I შესახვევი №1, 3, 5 და ლეჟავას №2, 4, 6
13	ავტომშენებლის I შესახვევი №8, 10, ლეჟავას №5ა, 5ბ, მუსხელიშვილის 1ა, 2
14	ახალგაზრდობის გამ. I შეს. №23, 25 სახლები და ლეონიძის №1, 2, 5, 6, 7 სახლები
15	ახალგაზრდობის გამზ. №19 (სატრაქტორო ქარხნის ადმინისტრაციული შენობა)
16	ახალგაზრდობის გამზ. I შეს. №8 ბინის უკანა მხარეს.
17	ახალგაზრდობის გამზირი №84, 86, 86ა, 90, 92 ბინებთან
18	ახალგაზრდობის VIII შესახვევი სადგურ რიონამდე.
19	ბარნოვის ქუჩა №2
20	ბუკიას №1, 3ა, 5
21	ბუკიას №2, 6 წინ
22	ბუკიას №9 წინ
23	ბუხაიძის №7 და №7ა

24	ცაცხეების II შესახვევი
25	ჩანჩიბაძის III ჩიხი
26	ჩანჩიბაძის ქუჩის ბოლო მონაკვეთი
27	ცახელის №7ა ბინის წინ
28	ჩორგოლიანის №3
29	დ. აღმაშენებლის № 111, 115 და შ. ნუცუბიძის №2
30	დ. აღმაშენებლის №40
31	დ. აღმაშენებლის №46, 48
32	დ. აღმაშენებლის V შესახვევი
33	დ. კლდიაშვილის ქუჩის №92 - №96-ის ჩათვლით
34	დ. ნიჟარაძის III (ყოფილი ოსტროვსკის III) შესახვევი
35	დ. თავდადებულის ქუჩის №45, 47, 49
36	დადიანის ქუჩის №58-ს წინ
37	დავითაშვილის ქუჩის №13-15 სახლების შიდა ეზო
38	დავითაშვილის ქუჩის I და III ჩიხები
39	ეფლოშვილის №67 და 71-თან მდებარე ჩიხი
40	ფ. კაკაურიძის №1, 3
41	გ. ტაბიძის №65, 67
42	გ. ტაბიძის VI ჩიხი
43	გამარჯვების ტერიტორიული ორგანოს ეზო
44	განათლების ქუჩის IV შესახვევი
45	გელათის ქუჩის ბოლო მონაკვეთი სასაფლაოსთან მისასვლელი
46	გელათის ქუჩის I ჩიხი
47	გელათის ქუჩის IV ჩიხი
48	გელათის ქუჩის IV შესახვევი
49	გელათის ქუჩის VI შესახვევი
50	გრიშაშვილის ქუჩა №37
51	გუგუნავას ქუჩა №35
52	გვანცელაძის ქუჩის I შესახვევი
53	გვანცელაძის ქუჩის II ჩიხი
54	გვანცელაძის ქუჩის II და III შესახვევი

55	გველეხიანის ქუჩა №92
56	ი. პეტრიწის II ჩიხი (ყოფილი ბუაჩიძის II ჩიხი)
57	ი. პეტრიწის ქუჩის II შესახვევის გაგრძელება (ყოფილი ბუაჩიძის II შესახვევი)
58	ი. პეტრიწის ქუჩის IV შესახვევის ბოლო მონაკვეთი №30-თან.
59	ი. ჭავჭავაძის გამზირი №3ბ ბინა და ეკლესიის წინ
60	ი. ზარდალიშვილის №14, 16, 18-თან
61	ჯავახიშვილის №2, 4, 6, 8, 10
62	ჯავახიშვილის №49-სთან მისასვლელი გზა
63	ჯავახიშვილის I შესახვევი №26
64	კ. გამსახურდიას ბოლო მონაკვეთი №156-დან
65	კ. გამსახურდიას IV ჩიხი
66	კ. გამსახურდიას ქუჩის №61ა
67	კ. გამსახურდიას VI შესახვევი
68	კ. გამსახურდიას VII შესახვევი
69	კ. გამსახურდიას XII შესახვევი
70	კ. გამსახურდიას XIV შესახვევი
71	კ. გამსახურდიას XVI შესახვევი
72	კ. გამსახურდიას XVIII შესახვევი
73	ლ. ასათიანის ქუჩის I ჩიხი
74	ლ. ასათიანის ქუჩის III ჩიხი
75	ლეონიძის ქუჩის №4ა ბინის წინ
76	ლერმონტოვის II ჩიხი
77	ლომონოსოვის I და III ჩიხები
78	ლომოურის ქუჩა და №3, 11, 13, 15 სახლების წინ
79	მ. კოსტავას ქუჩის III ჩიხი
80	მაისურაძის ქუჩის №1, 3
81	მაისურაძის ქუჩის №7, 11, 13, 15
82	კ. მესხის ქუჩა №8, 9ა, 10ა წინ
83	კ. მესხის ქუჩა №9, 11, 13 წინ
84	მშვიდობის ქუჩა №1, 1ა-ს წინ
85	მშვიდობის ქუჩა №4, 4ა-ს წინ

86	ნ. დუმბაძის ქუჩა №2 (ყოფილი ნინოშვილის ქუჩა)
87	ნიკეას №15 (ყოფილი კულინარული სასწავლებლის საერთო საცხოვრებელი)
88	ნიკეას №19 (ყოფილი სამხედრო დასახლების ბაგა-ბაღი)
89	ნიკეას I შესახვევი №11ბ სახლის წინ
90	ნიკეას I შესახვევი №13 (ყოფილი 22-ე ბაგა-ბაღი)
91	ნიკეას II შესახვევი №12-სა და №14 სახლებს შორის
92	ნიკეას II შესახვევი №1ა (ყოფილი 24-ე ბაგა-ბაღი)
93	ნიკეას II შესახვევი №6 III სადარბაზო
94	ნიკეას II შესახვევი №7ა სახლის უკანა მხარე
95	ნიკეას II შესახვევი №7ბ1 და №7ბ2-ის წინა მხარეს.
96	ნიკეას II შესახვევი №8 (ქარხანა აისის ბაგა-ბაღი)
97	ნიკეას ქუჩა №7ა სახლის მიმდებარე ტერიტორია
98	ნიკოლაძის I და III შესახვევები
99	ნინოშვილის XIII ჩიხი
100	ნინოშვილის II და IV ჩიხები
101	ნინოშვილის IX ჩიხი
102	ნინოშვილის XI ჩიხი
103	ნინოშვილის VII ჩიხი
104	ნინოშვილის X და XII ჩიხები
105	ნინოშვილის XVI ჩიხი
106	ოცხელის ქუჩის №4
107	ონის ქუჩის ბოლო მონაკვეთი
108	ოქროს ჩარდახის დეკორატიული მიწათება
109	პაოლო იაშვილის I ჩიხი
110	რუას ქუჩის I ჩიხი
111	რუსთაველის №42, 44
112	რუსთაველის გამზ. №90-94 ბინის ეზო და X, XII, XIV ჩიხები
113	რუსთაველის გამზ. №96 ბინის ეზო
114	რუსთაველის V და VII შესახვევები
115	სააკაძის ქუჩის №1
116	სანატორიუმი სათაფლიას წინა ეზო.

117	ახალგაზრდობის №68, 74
118	ახალგაზრდობის №62, 70
119	სილაგან მახვილადის ქუჩა (ახალგაზრდობის გამზირი II შესახვევი) №9, 11, 13, 15, 17 სახლების წინ
120	სილაგან მახვილადის ქუჩა (ახალგაზრდობის გამზირი II შესახვევი) №19
121	სოლომონ II-ის ქუჩის II ჩიხი
122	სოლომონ II-ის ქუჩის IV შესახვევი და IV ჩიხი
123	სოლომონ I-ის №64-ის ეზო
124	სოლომონ I-ის ქ. №27-თან და პ. იაშვილის II შესახვევის გაგრძელება
125	სოლომონ I-ის ქუჩის IV ჩიხი
126	სოხუმის ქუჩის II შესახვევი
127	სულხან-საბას უკანა შემოსავლელი გზა
128	თაბუკაშვილის №28, 30, 32
129	თაბუკაშვილის №22
130	თაბუკაშვილის №88
131	თაბუკაშვილის №92
132	თაბუკაშვილის ქუჩის №1
133	თაბუკაშვილის ქუჩის №197 და №223, 221 უკანა გზა
134	თაბუკაშვილის ქუჩის №98
135	თამარ მეფის №60
136	თბილისის №52, 54
137	თბილისის ქუჩის I ჩიხი
138	ტოლსტოის ქუჩა №3, 4 წინ
139	ტყიბულის ქუჩის №129 - №149-ის ჩათვლით კენტი.
140	ტყიბულის ქუჩის №172 - №180-ის ჩათვლით ლუწი.
141	ტყიბულის ქუჩის №185 - №189-ის ჩათვლით კენტი.
142	ტყიბულის ქუჩის III შესახვევი
143	უშანგი სალდაძის (ყოფილი ნინოშვილის X შესახვევი).
144	უშიშროების მიმდებარე სკვერი
145	ვარლამიშვილის №9 ბინის წინ

146	ჭაბუკიანის II შესახვევი
147	ჭაბუკიანის II და IV ჩიხები.
148	ჭაბუკიანის VI ჩიხი.
149	ჭაბუკიანის VIII ჩიხი.
150	წერეთლის №98 და აღმაშენებლის №14
151	წერეთლის I ჩიხი
152	წერეთლის III ჩიხი
153	წერეთლის IV და VI ჩიხები
154	წერეთლის ქუჩა VIII ჩიხი №16
155	წმინდა სამების I შესახვევი
156	წყალტუბოს I შესახვევი და II ჩიხი
157	ხაბეიშვილის ქუჩის I შესახვევი
158	ხარებაგას №39ა მისასვლელი გზა
159	ხარებაგას ქუჩა №7ა უკან
160	ხარებაგას ქუჩა №9 ჩეხური უკანა მხარე 2 სადარბაზო
161	ხუნდაძის №52-თან მისასვლელი გზა
162	ყაუხჩიშვილის I ჩიხი
163	ყაზბეგის ქ. №14
164	ზ. ანჯაფარიძის №19ა, 19 სახლების შიდა ეზო
165	ზ. გამსახურდიას I შესახვევი №9,11 სახლების მხრიდან და მედიქიშვილის №8-ს უკან შემაერთებელი გზა
166	ზ. გამსახურდიას I შესახვევი სკოლა „მერმისის“ წინა ტერიტორია
167	ზ. ჭავჭავაძის №20-ის უკანა მხრიდან ბუკიამდე.
168	ზ. ჭავჭავაძის №2-დან №6-ის მისასვლელი
169	ზარდალიშვილის ჩიხი №12-20
170	ძნელაძის ქუჩის II ჩიხი
171	ძნელაძის ქუჩის II შესახვევი
172	ძნელაძის ქუჩის IV ჩიხი
173	ორახელაშვილი საპატრულოდან ზ. ჭავჭავაძემდე
174	ნიკეას სამხედრო დასახლებასთან მიმავალი გზა
175	თამარ მეფის №90

176	გელათის ქუჩა №27-ის ეზო
177	გველესიანის ქუჩის I ჩიხი
178	ბუკია №5ბ
179	ნიკეას ქუჩაზე კოოპერაციული ტექნიკუმის შენობების წინ
180	თაბუკაშვილის ბოლო მონაკვეთი წყალკანალის გარაუქებამდე
181	26 მაისის II ჩიხი
182	26 მაისის V და VII ჩიხები
183	თბილისის №44
184	თბილისის III ჩიხი
185	მეფისაშვილის ქუჩა (ყოფილი მ. კოსტავას II შეს)
186	ტყაბლაძის №№16 - 24
187	ტყაბლაძის №№28 - 32
188	ტყიბულის I ჩიხი
189	ახალგაზრდობის №44 სახლი
190	ნიკეას ქუჩაზე სამხედრო დასახლების მეორე შესასვლელი
191	ი. ბერაძის ქუჩის გაგრძელება
192	შ. შავგულიძის ქუჩის გაგრძელება
193	წერეთლის №173
194	ჩხოვაძის III შესახვევი (ახალი დასახლება)
	ჯამი

„შემსყიდველი” შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს ხელშეკრულების დადებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეში.

საკონკურსო წინადადების ფასში სრულად უნდა იყოს მოცემული კონკურსით გათვალისწინებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, საავტორო ზედამხედველობა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადები. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დამზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და სტანდარტებით.

იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებული დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენას მიმწოდებელი განახორციელებს ანაზღაურების გარეშე.

პროექტირების პერიოდში საპროექტო დავალებით გათვალისწინებული სამუშაოების დაპროექტების საკითხი ზეპირი სახით შეთანხმდება შემსყიდველთან.

ხელშეკრულების პროექტი

ქ. ქუთაისი

— 2012 წელი

ერთის მხრივ, თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერია, (შემდგომში „შემსყიდველი“) ქალაქ ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის კოტე რატიანის სახით. (მისამართი: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, ტელ: 24-24-03).

მეორეს მხრივ, —————, (შემდგომში „მიმწოდებელი“) მისი დირექტორის ————— სახით, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1 “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომ – “ხელშეკრულება”) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 1.2 “ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
- 1.3 “შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომ “შემსყიდველი”) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
- 1.4 “მიმწოდებელი” ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება კონკურსში და ახორციელებს მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
- 1.5 “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს;
- 1.6 „მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;
- 1.7 „ტექნიკური დოკუმენტაცია“ – მიმწოდებლის მიერ (საკონკურსო განაცხადი №...) საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საგანი

- 2.1 ქალაქ ქუთაისში (ქუჩები, ჩიხები, ბინების წინა ეზოები) გარე განათების სამუშაოების ჩატარებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა (194 ობიექტი).
- 2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების აღწერა მოცემულია ტექნიკურ დოკუმენტაციაში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

- 3.1 შესასრულებელი მომსახურების ჯამური ღირებულება შეადგენს ————— ლარს;
- 3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 4.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი განახორციელდება თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მიერ;
- 4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი, კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი;
- 4.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

5. მომსახურების გაწევის პირობები

- 5.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება მიმწოდებლის საკონკურსო წინადადებაში ასახული პირობების შესაბამისად;
- 5.2 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს მომსახურების პირობებში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

- 6.1 „შემსყიდველი“ შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს ხელშეკრულების დადებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეში.
- 6.2 მიმწოდებლის მიერ შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის ფაქტიური დადასტურების შემდეგ.
- 6.3 ფაქტიურად შესყიდვის ობიექტის დამტკიცებას თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის დადასტურების საფუძველზე ახორციელებს თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერი.

7. ანგარიშსწორება

- 7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის წერილობითი მომართვის საფუძველზე;
- 7.2 მიმწოდებლის წერილობით მომართვას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს:
- ა) ფაქტიურად გაწეული მომსახურების მოცულობა და ღირებულება,
 - ბ) მომსახურების გაწევის შესაბამისად ამოწერილი **დღგ-ს** ანგარიშფაქტურა.
- 7.3 გაწეული მომსახურების ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში.
- 7.4 ანგარიშსწორება განხორციელდება გაწეული მომსახურების დადასტურებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

8. ფასები

- 8.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებაში მითითებული ფასი არ უნდა აღემატებოდეს მიმწოდებლის მიერ საკონკურსო წინადადებაში მითითებულ ფასს.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

- 9.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
- 9.2 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანოზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
- 9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
- 9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. მხარეთა უფლება-მოვალეობები

- 10.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:
- გასაწევი მომსახურების დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს მიმწოდებლისგან მისთვის საჭირო ინფორმაცია;
- 10.2 შემსყიდველი ვალდებულია:
- უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით;
- 10.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია:
- 10.3.1 მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
- 10.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

10.4.1 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები,
10.4.2 განახორციელოს დამუშავებული ტექნიკური დოკუმენტაციის საავტორო ზედამხედველობა.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 დაუძლეველი ძალის გარდა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

– ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელი გადაიხდის 5200 (ხუთათასორასი) ლარს;

11.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%-ს.

11.3 იმ შემთხვევაში თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.4 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებლის დაჯარიმების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად გაწეული მომსახურების ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.

11.5 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისადმი.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

12.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება დაუყოვნებლივ უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან.

12.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

13. დაუძლეველი ძალა

13.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

13.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

13.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;

14.2 თუ „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

15. გამოყენებული სამართალი

15.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. გადასახადები და დაბეგვრა

16.1 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1 წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს და განისაზღვრება ხელშეკრულების დადებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით.

17.2 ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი მიმწოდებელთან და 2 (ორი) პირი შემსყიდველთან.

18. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

ქალაქ ქუთაისის მერია

მის: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №3

ს.ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“

ქუთაისი ფილიალი

ბ/კოდი: 220101605

ა/ა № 33033303

ს/კოდი: 212721170

ქალაქ ქუთაისის მერიის სახელმწიფო

შესყიდვების სამსახურის უფროსი,

საკონკურსო კომისიის

თავმჯდომარის მოადგილე

კოტე რატიანი